პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქმე

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 სექტემბერი, ხუთშაბათი, 1986 წ.
№ 181 (9342) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ელვა-ინფორმაცია

ᲓᲔᲓᲐᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘ

გუშინ სალამოს ტაშკენტში „ფახთაქორის“ სტადიონზე ორჯერ გაისმა უხარე ოვაცია. ეს იყო უნიკალური შეთხვევა სპარტაკიადის ისტორიაში — ერთი ოჯახის ორმა წარმომადგენელმა ცოლმა და არმა — მაია აზარაშვილმა და ზურაბ მემარნიშვილმა ოქროს და ბრინაოს მედლები მოუტანეს საქართველოს სპორტულ დელეგაციას. ბრწყინვალე წარმატებაა! მაია აზარაშვილმა 100 მეტრზე რბენაში საერთაშორისო კლასის შედეგი აჩვენა — 11,20 წ. და სპარტაკიადის ჩემპიონის ნოდება მოიპოვა. ამავე დისტანციაზე ვაჟთა შორის მაიას მეუღლე ზურაბ მემარნიშვილი მეხამე იყო — 10,54.

მოსკოვი. ნიჩბოსნობა. ორადგილიანი და ოთხადგილიანი ნავებით ბარეზობაში ჩვენი ნიჩბოსნები ფინალში გავიდნენ. დანარჩენი ხუთი ეი მეორე ფინალშია. დღეს იხინი ძირითად ფინალში მოსახვედრად ბრძოლებენ.

ფუალბურთი. ჩვენმა გუნდმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ფინალურ ჯგუფში. ამჯერად ანგარიშით 13:5 დაამარცხა უაზახეთის ნაკრები. რხფხრ-ის გუნდი დამარცხდა უკრაინელებთან — 9:10.

მაია აზარაშვილი და ზურაბ მემარნიშვილი.

მზადება დამთავრდა, სეზონი დაიწყო

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელს, საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ლევან მოსეშვილს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შევხვდით. ჩვენი საუბრის ძირითადი თემა, ცხადია, 54-ე საკავშირო ჩემპიონატი იყო. უპირველეს ყოვლისა გვაინტერესებდა, როგორ ემზადებოდნენ დინამოელები ამ ასპარეზობისთვის, რა ცვლილებები მოხდა გუნდში.

— ჩემპიონატისთვის მზადება მაისის შუა რიცხვებში დავიწყეთ. ლესელიძეში ჩატარებული ორკვირიანი შეკრების მანძილზე ძირითადი ყურადღება საერთო ფიზიკურ მომზადებას ეთმობოდა, თვის ბოლოს კი მონაწილეობა მივიღეთ თბილისის საერთაშორისო ტურნირში. შეჯიბრებაში ჩვენს გარდა მონაწილეობდნენ მოსკოვისა და ფრუნზეს დინამოელები, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის „რუდა ჰვეზდა“ და პოლონეთის „ვისლა“.

● **თუ არ ვცდები, ეს ტურნირი თბილისის დინამოელებმა დაუმარცხებლად ჩაატარეს...**

— დიახ, ხუთივე მატჩი მოვიგეთ, თუმცა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო მოთამაშეთა შორის ურთიერთგაგების აღდგენა — ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ეს მუდამ მთავარი პრობლემაა. პირველობისთვის მზადება ბახმაროში განვაგრძეთ, ივლისში კი კვლავ ტურნირში ვითამაშეთ: კაუნასში ჩვენს გარდა იასპარეზეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, ადგილობრივმა „ჟალგირისმა“ და უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა, ალმა-ათის არმიის სპორტულმა კლუბმა. დინამოელებმა ორივე შეხვედრა წააგეს, მაგრამ მათთვის ეს მატჩებიც მეტად სასარგებლო იყო. შემდეგი შეჯიბრება გახლდათ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ზონალური ტურნირი, რომელიც ამ ერთი თვის წინათ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა. სათასო ტურნირი ჩვენთვის, შეიძლება ითქვას, წარუმატებლად დამთავრდა. ვგულისხმობ არა იმდენად იმას, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლა ვერ მოვახერხეთ (მოვუგეთ კიმენოვის „მოლდოვასა“ და კიევის ასკ-ს, წავაგეთ ცსკა-სთან), რამდენადაც იმას, რომ ერთი თვით ულიდეროდ დავრჩით.

● **ალბათ ნიკოლოზ დერიუგინის ტრავმას გულისხმობთ.**

— კიევის არმიელებთან შეხვედრაში დერიუგინი იმდენად სერიოზულად დაშავდა, რომ მთელი ერთი თვე არ უვარჯიშია. სულ რამდენიმე დღეა, რაც იგი წვრთნას შეუდგა და ვიმედოვნებ, ჩემპიონატის სასტარტო მატჩებში მონაწილეობას შეძლებს. თორემ საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელის გარეშე ნებისმიერ მეტოქესთან გაგვიჭირდება ბრძოლა. სხვათა შორის, ეს კარგად გამოჩნდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაშიც, რომელსაც თბილისის სპორტის სასახლემ უმასპინძლა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მცველებს ურიგოდ არ უთამაშიათ, დავმარცხდით ფრუნზელ და მოსკოველ თანაკლუბელებთან და მხოლოდ ჩელიაბინსკელებთან შევძელით გამარჯვების მოპოვება. სხვათა შორის, ჩელიაბინსკელებთან შეხვედრაში ჩვენი ყურადღება მიიქცია ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელის ოპოშნიანის ძლიერმა, შედეგიანმა თამაშმა. გადავწყვიტეთ გუნდში მოგვეწვია იგი. ეს, რა თქმა უნდა, იძულებითი ნაბიჯია.

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

ჯეშმარიტი სპორტსმენის ხასიათი

გიორგი ჩოგოვაძის ბრინჯაო

სპორტსმენები ნებისმიერ შეჯიბრებაზე გარკვეული იმედებით მიემგზავრებიან — ერთნი „ოქროსწერცხლზე“ ოცნებობენ, მეორენი ფინალში მოხვედრაზე ფიქრობენ. ამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც საქართველოს წყალში მხტომელები არიან. მწვრთნელები გიორგი ჩოგოვაძესა და მის სეხნია შელიუგოვს (ორივე — „განთიადი“) 3-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში ფინალში მოხვედრას ეგეგმავდნენ.

ვინც ჩოგოვაძის წარმატების ამბავი იცის, ალბათ გაუკვირდება იმით, რომ უგეგმავდნენ ასეთ მოკრძალებულ შედეგს საკავშირო ჩემპიონატის და ევროპის იუნიორთა პირველობის ვერცხლის პრიზიორს, დიდი საერთაშორისო ტურნირის („გაზაფხულის მერცხლების“) გამარჯვებულს. საქმე ის არის, რომ ჩოგოვაძის ვიწრო სპეციალობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, კოშკიდან ხტომაა. აი, ამიტომ ფიქრობდნენ, რომ მისთვის მე-6 ადგილიც კარგი შედეგი იქნებოდა, მით უმეტეს, რომ 3-მეტრიან ტრამპლინზე მეტად ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. აქ მრავლად იყვნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, საკავშირო პირველობათა პრიზიორები და თანების მფლობელები, დიდ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულნი. მაგრამ ჩოგოვაძემ და შელიუგოვმა ნამდვილი სპორტსმენის ხასიათი გამოავლინეს: წინასწარი ხტომების სერია ჩოგოვაძემ საუკეთესო შედეგით დაამთავრა, შელიუგოვს კი მე-5 შედეგი ჰქონდა. ვინც ამ სერიაში შეჯიბრების დაძაბულობას ვერ გაუძლო, მედლების მაძიებელთა რიგებს გამოეთიშა, მათ შორის კიეველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნუდუმ ალიაუტდინოვიც, რომელმაც წლეულს ევროპის თასი მოიგო.



გიორგი ჩოგოვაძე.

ფინალურ შეჯიბრებაში კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლიდა სახეს ლიდერთა სამეული. დაწინაურებულნი ჩოგოვაძემ და შელიუგოვმა ხანგრძლივად ასე აფუშებდნენ, როგორც ახალბედები და მონაპოვარს წყალში ჰყრიდნენ. ერთი სიტყვით, ბრძოლა მეტად დაძაბული იყო. ჩოგოვაძეს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი სტაბილურად II-III ადგილებზე გადიოდა, ხოლო შელიუგოვი VI ადგილიდან ქვემოთ აღარ ჩამოსულა. საბოლოოდ ჩემპიონი გახდა მინსკელი ალექსეი გლადჩენკო (588,12), მეორე იყო მისი თანაგუნდელი ალექსეი გოგოლევი (574,92); მესამე — ჩოგოვაძე (555,24).

საინტერესოა, რომ წინასწარ შეჯიბრებაში გამარჯვებული ჩოგოვაძე ფინალში სარბიელზე ბოლოს გამოდიოდა და ბოლო ნახტომი კიდეც რომ გაეფუშებინა, ბრინჯაოს მედალი მაინც ჩვენი იქნებოდა, რადგან IV ადგილზე შელიუგოვი იყო. ჩოგოვაძეს იგი ოდნავ ჩამორჩა (554,10).

ვულოცავთ მათ ამ წარმატებას. აღსანიშნავია, რომ ბოლო სპარტაკიადებში 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ჩვენს ვაჟებს მედალი არ მოუპოვებიათ.

ექსპრეს-ინტერვიუ

როცა სპორტსმენებს მედლებით აჯილდოვებდნენ, საკავშირო ნაკრების უფროსს მწვრთნელს **ვალერი კრუტოვს** სახელდახელო ინტერვიუ ჩამოვართვით.

— თქვენ, ალბათ, საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლის შესახებ გაინტერესებთ ჩემი აზრი, — გვითხრა კრუტოვმა. — ის ფაქტი, რომ ოქრო და ვერცხლი ბელორუსიელებმა მოიპოვეს, ხოლო თქვენებმა მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს, იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს ნაკრებმა კარგად აიღო სტარტი და გუნდურ პირველობაში მეორე ადგილზეა. მე არ მახსოვს თქვენებს ასეთი წარმატებისთვის მიეღწიოთ სპარტაკიადაზე 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, თუ წინათ ისინი ამ სახეობაში მხოლოდ ფინალში გასვლაზე ოცნებობდნენ, ახლა მედლებისთვის იბრძოდნენ. ჩოგოვაძეს დიდი სირთულის მქონე კოეფიციენტის ნახტომები ჰქონდა, გაიხსენეთ მისი ბოლო გამოსვლა.

● **ჩვენი მწვრთნელები ჩოგოვაძეს ტრამპლინიდან ხტომაში სპარიზო ადგილს არ უგეგმავდნენ. როგორ ფიქრობთ, მისი მესამე ადგილი მოულოდნელი იყო?**

— მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ჩოგოვაძე და საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი იური გუტიაკულოვი ტრამპლინიდან ხტომას დიდ ყურადღებას უთმობენ. საერთოდ, თუ გვინდა კარგი წყალში მხტომელები გავზარდოთ, ისინი „ორშიდში“ უნდა ვავარჯიშოთ, მაგრამ მეტი ინტენსიურობით მაინც ერთ-ერთ სახეობაში სჯობს მეცადინეობა, მაგალითად, ამ სპარტაკიადაზე რომ კოშკიდან ხტომაში გაიმარჯვა, ტრამპლინზე ხტომაში III ადგილი მაინც უნდა გქონდეს დაკავებული.

● **როგორც იცით, ჩოგოვაძე კოშკიდან მხტომელია, ტრამპლინზე მიღწეული მოულოდნელი წარმატება კოშკიდან ხტომაში ოქროს მედლის მოპოვების შანსს ხომ არ უზრდის?**

— დაბეჯითებით თქმა ძნელია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩოგოვაძე კოშკიდან ხტომაში უკეთესად იასპარეზებს.

შემდეგ თავად პრიზიორს გავესაუბრეთ.

● **მწვრთნელები ტრამპლინზე მედალს არ გიგეგმავდნენ, თქვენ თვითონ რას ფიქრობდით?**

— ვფიქრობდი, რომ II ან III ადგილზე გავიდოდი და მიზანსაც მივაღწიე.

● **როცა წინასწარი შეჯიბრება მოიგეთ, ოქროს მედლის მოპოვების სურვილი ხომ არ გაგიჩნდათ?**

— არა, ეს უკვე მეტისმეტია, ერთია წინასწარი შეჯიბრება და სულ სხვა — ფინალი.

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები **ჯემალ კასრაძე, ავთანდილ გურასაშვილი** მოსკოვიდან, **გიორგი ჩოჩიშვილი** ტაშკენტიდან ტელეფონით გვატყობინებენ:

გუშინ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ქალთა შორის ასპარეზობაში ფინალში VI შედეგით შევიდა თბილისელი როსტიაშვილი. უძლიერესთა შორის VIII შედეგით განაგრძობს ასპარეზობას ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი ბილიოვა.

სპარტაკიადის სხვა მასალები იხილეთ მეორე გვერდზე.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

შანსების იზრდება

წყალბურთელთა ფინალური ტურნირის მეორე დღეს საქართველოს ნაკრების მეტოქე აზერბაიჯანის გუნდი იყო. აზერბაიჯანელებმა წინა მატჩი უკრაინელებთან პირწმინდად წააგეს — 2:14, ჩვენმა გუნდმა კი ჯგუფურ ტურნირში, როგორც ცნობილია, უკრაინის ნაკრები დაამარცხა. ამის გამო სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ ქართველ წყალბურთელებს აზერბაიჯანელებთან მოგება არ უნდა გაძნელებოდათ, მაგრამ მეტოქემ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაგვიწია.

დიდხანს უპირატესობას ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია. მეორე პერიოდის ნახევრამდე ტაბლო ძირითადად თანაბარ ანგარიშს აჩვენებდა. საქართველოს სპორტსმენებმა გადამწყვეტი შეტევები წამოიწყეს, როცა ანგარიში 5:5 იყო და რამდენიმე ზუსტი კომბინაციის შემდეგ დაწინაურდნენ. ეს ინიციატივა მათ შეხვედრის ბოლომდე შეინარჩუნეს და საბოლოო ჯამში გაიმარჯვეს — 12:8 (3:3, 4:2, 2:2, 3:1).

ამ მატჩში განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მეორე პერიოდის უკანასკნელ წამზე თბილისელი გობეჯიშვილის მიერ გატანილი გოლი. ქართველი წყალბურთელი საკუთარი კარის შორიახლოს იმყოფებოდა, როცა ბურთი მიიღო. დრო ცოტა იყო დარჩენილი. ასეთ შემთხვევაში სპორტსმენები მეტოქის კარში ალალბედად ტყორცნიან ბურთს იმ იმედით, რომ იქნებ სასწაული მოხდესო, გობეჯიშვილიც ასე მოიქცა: შორიდან ძლიერი ტყორცნა შეასრულა და ოდნავ წინ გამოსულ მეკარეს ისღა დარჩენოდა, თვალი გაეყოლებინა ბურთისთვის, რომელმაც ჰაერში დიდი ტრაექტორია მოხაზა, მთელ მოედანს გადაეკვეთა და კარში ჩაეშვა. ეს გოლი ალბათ დიდხანს დაამახსოვრდება ყველას.

ამ მატჩში გობეჯიშვილმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა. თბილისელთაგან მეტოქის კარი აიღეს აგრეთვე: რამიშვილმა (4-ჯერ), ბითაძემ (3), გიორგაძემ (2) და კილაურიძემ (1). აზერბაიჯანელთაგან თავი გამოიჩინეს: კუზმინმა (5), აზერბაბაევმა, ვართანოვმა და ლაპკინმა (1-1).

შეჯიბრებას ჯერჯერობით ერთპიროვნულად მოსკოვის ნაკრები ლიდერობს, მას 6 ქულა აქვს. 4-4 ქულით მეორე ადგილს საქართველოს, უკრაინისა და ყაზახეთის გუნდები იყოფენ (შეგახსენებთ, რომ ფინალურ ჯგუფში 2-2 „ოქროს“ ქულა გადმოჰყვათ მოსკოვის, საქართველოსა და ყაზახეთის კოლექტივებს).

დღეს ჩვენი ნაკრები ყაზახეთის გუნდს ეთამაშება. გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს წყალბურთელებს ვერცხლის მედლებისთვის ბრძოლის რეალური შანსი ეძლევათ.

ყველა შედეგი გაუქმდა

ტაშკენტი. მძლეოსანთა სასპარტაკიადო ტურნირის პირველ დღეს მედლების ხუთი კომპლექტი გათამაშდა. მეექვსე სახეობაში — 10 კილომეტრზე რბენაში—მსაჯთა კოლეგიამ შედეგები გააუქმა და, ცხადია, არც ერთ მონაწილეს ქულები არ დაერიცხა.

ასეთი მკაცრი განაჩენის მიზეზი სტაიერთა ერთობ დაბალი შედეგები გახდა. მონაწილენი მთელს დისტანციაზე ტაქტიკურ ბრძოლას მოუნდნენ და მხედველობიდან გამორჩათ... „დრო“, რომელიც გამარჯვებულსაც კი მეტად დაბალი აღმოაჩნდა — 30.07,13.

საქართველოს მძლეოსნებმა წარმატებით ისპარეზეს ქალთა ესტაფეტაში 4X100 მ. გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ზ. აფციაური, ე. გოლუტვინა, თ. შანიძე და მ. აზარაშვილი, დისტანცია 44,90 წამში გაირბინა და VI ადგილი დაიკავა, რითაც ჩვენს დელეგაციას 28 ქულა შესძინა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მძლეოსნების მიერ ნაჩვენები დრო ახალი რესპუბლიკური რეკორდია და სპორტის ოსტატის ნორმატივს აღემატება. სწორედ ამის გამო გუნდის სამ წევრს — ზ. აფციაურს, ე. გოლუტვინასა და თ. შანიძეს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ (მეოთხე მონაწილე მ. აზარაშვილი, როგორც ცნობილია, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია).

ამავე დისტანციაზე ვაჟთა ესტაფეტაში საქართველოს მძლეოსნებმა 41,02 წამი აჩვენეს და XI ადგილი დაისაკუთრეს (12 ქულა).

მძლეოსანთა ასპარეზობის პირველი დღის შემდეგ ჩვენს სპორტსმენებს აქვთ 40 ქულა, რაც მეთერთმეტე ადგილს შეესაბამება. მათი მთავარი მეტოქეები — უზბეკეთისა და ლიტვის გუნდები ჯერჯერობით უკეთ გამოვიდნენ. უზბეკებმა 106 ქულა დააგროვეს (VI ადგილი), ლიტველებმა — 43 (X ადგილი).

• • •

ტაშკენტის „ფახთაქორის“ სტადიონზე გრძელდება მძლეოსანთა სასპარტაკიადო შეჯიბრებები. ქალთა შორის 100 მეტრზე რბენის ფინალში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი მაია აზარაშვილი ყველაზე საუკეთესო შედეგით გავიდა — 11,42 წამი.

ამავე დისტანციაზე ვაჟთა ფინალურ გარბენში მაიას მეუღლე ზურაბ მემარნიშვილი საქართველოს ახალი რეკორდით მოხვდა—10,55 წამი (ეს მე-5 შედეგი იყო).

სამმხტომელთა შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრების წევრმა ანდრეი კურდინოვსკიმ მე-9 ადგილი დაიკავა. შუბის მტყორცნელები ლარისა ვოვჩენკო და ლიანა ბოლქვაძე შესაბამისად მე-9 და მე-10 ადგილებზე გავიდნენ. ბირთვისმკვრელმა ტარიელ ბიწაძემ პირველსავე ცდაზე შეასრულა საკვალიფიკაციო ნორმატივი, ბირთვი 18 მეტრსა და 74 სანტიმეტრზე გაგზავნა და ფინალში გავიდა.

სპარტაკიადის ტაბლო

ცხენოსნობა (სამეიდი, კონკური და ცხენის გაწვრთნა). 1. ბელორუსია — 306 ქულა, 2. ლატვია — 204, 3. რსფსრ — 203, 4. ლიტვა — 186, 5. უკრაინა — 141, 6. ყაზახეთი — 137, 7. მოლდავეთი — 131, 8. უზბეკეთი — 105, 9. მოსკოვი — 91, 10. ყირგიზეთი — 72, 11. ესტონეთი — 60, 12. საქართველო — 48, 13. ლენინგრადი — 38.

„გრან-პრის“ პროგრამით

თბილისში „დინამოსა“ და ჩოგბურთის სასახლის კორტებზე დაიწყო ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. ასპარეზობაში, რომელიც „გრან-პრის“ ჩათვლაში შედის, მონაწილეობენ ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, კუბის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები, რომელთა ასაკი 18 წელს არ აღემატება.

შეჯიბრებაში ჩაებნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც, მათ შორის, ორიოდე დღის წინ ტაშკენტში დამთავრებული ანალოგიური ტურნირის გამარჯვებულები წყვილთა თანრიგში ვლადიმერ გაბრიჩიძე და დავით კაჭარავა. რაც შეეხება ლელა მესხს, იგი ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდის.

ქალთა ტურნირის ფავორიტად სპეციალისტები ასახელებენ 17 წლის პოლონელ კატარინა ნოვაკს, რომელმაც ტაშკენტში გამართული შეჯიბრების ფინალში თანაგუნდელ მაგდალინა მრუზს სძლია და პირველი ადგილი დაიკავა.

შეჯიბრების პირველ დღეს პოლონელი ჩოგბურთელები ისვენებდნენ, მაგრამ ისინი მწვრთნელთან, საერთაშორისო არბიტრ იაცეკ ლუბასთან ერთად გვიან საღამომდე დარჩნენ „დინამოს“ კორტებზე და მომავალ მეტოქეთა თამაშს უცქირეს. ტაშკენტის ტურნირის „პოლონური ფინალის“ შემდეგ მწვრთნელი, ცხადია, კარგ გუნებაზეა.

— თბილისის კორტები უფრო „სწრაფი“ ჩანს,—გვეუბნება იაცეკი. — თბილისში ორი საათის წინ ჩამოვფრინდით და ვარჯიში ჯერ ვერ მოვასწარით, მაგრამ ვფიქრობ ჩვენი ჩოგბურთელები მალე შეეჩვევიან თქვენს კორტს და აქაც კარგ შედეგს აჩვენებენ. ყოველ შემთხვევაში, მე ნოვაკის დიდი იმედი მაქვს — მან წელს უკვე 10 საერთაშორისო ტურნირში სცადა ძალა. კატარინა პოლონეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა, თანატოლთა შორის მსოფლიო კლასიფიკაციაში კი ამჟამად მეჩვიდმეტეა.

გუშინ დილით გაიმართა მეორე ტურის შეხვედრები. კრაჩკომ დაამარცხა ნახაპეტიანი — 6:0, 7:5, გაბრიჩიძემ—შადიევი — 6:2, 6:1, შტრომბახმა (ყველა — საბჭოთა კავშირი)—დამიანდი (რუმინეთი) —6:3, 6:4. მანაპოვმა (საბჭოთა კავშირი) — შიპოში (რუმინეთი)—6:4, 6:2, კაჭარავამ — შიკაბონი (უნგრეთი) — 6:2, 6:2, კვარაცხელიამ — ეგოროვი — 6:1, 2:6, 6:4.

გია ახალაძე.

საქართველოს სპორტსახელოში

ელექტრონული ვერსია

როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ საქართველოს სპორტსახელოში გაიმართა კოლეგიის სხდომა, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების გამოსვლის შედეგები.

ჭიდაობა სპორტის იმ სახეობათა რიცხვს განეკუთვნება, რომლებსაც განსაკუთრებით ღრმა და მდიდარი ტრადიციები აქვს ჩვენს რესპუბლიკაში. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენი ფალავნებისგან გულშემატკივარი ნებისმიერი რანგის შეჯიბრებაში მხოლოდ წარმატებებს მოელის. კოლეგიაზე ითქვა, რომ შედარებით კარგად იასპარეზეს ძიუდოისტებმა, ჭიდაობის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენელთაგან ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა, მაგრამ რეალური შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული.

სპარტაკიადისათვის უკეთ მოსამზადებლად შეკრებებზე მყოფ ნაკრებ გუნდებს ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინეს ბორჯომის, გორის, ტყიბულისა და ყვარლის პარტორგანიზაციებმა.

სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდებში თავი იჩინა სხვადასხვა ობიექტურმა თუ სუბიექტურმა პრობლემამ. კლასიკური სტილის მოჭიდავეთა გუნდში შექმნილი მდგომარეობის მოგვარება უმტკივნეულოდ შეუძლებელი გახდა, სხვა გუნდებში პრობლემები შედარებით იოლად გადაიჭრა. მაგრამ ჩვენ ფალავნებს ადგილები და ქულები დაუგეგმეს ყველა ამ პრობლემის გათვალისწინებით.

კოლეგიის სხდომაზე გამოირკვა, რომ გამოვლენილი არ იყო და წარმატების რეალურ ფაქტორად ვერ იქცა ჩვენი მრავალწახნაგოვანი რეზერვი. ეს განსაკუთრებით ითქმის კლასიკურ ჭიდაობაზე და სამბოზე — ამ სახეობებში ჩვენმა სპორტსმენებმა სპარტაკიადაზე შესაბამისად VII და X ადგილები დაიკავეს. კლასიკოსთა წარუმატებლობის მიზეზად დაასახელეს ის, რომ სრულფასოვნად არ შესრულდა სამწლიანი ციკლით გათვალისწინებული მზადების გეგმა, დაშვებული იყო მეთოდური ხასიათის უხეში შეცდომები. შეცდომები იყო დაშვებული აგრეთვე მწვრთნელთა კადრების შერჩევაში. ვერ აღმოიფხვრა სპორტსმენთა ასაკის გადაკეთების მრავალწლიანი მავნე პრაქტიკა, რაც საკავშირო სპორტსახკომის მსჯელობის საგანიც გახდა. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს სპორტსახკომში მკაცრად იმსჯელეს ქვეყნის ჩემპიონატში კლასიკური სტილის მოჭიდავეთა წარუმატებელი გამოსვლის შედეგებზე. მაშინ აღინიშნა, რომ ჩემპიონატის პრიზიორთა შორის სასპარტაკიადო ასაკის ვერც ერთი ჩვენი სპორტსმენი ვერ მოხვდა. კოლეგიის იმავე სხდომაზე დაისახა მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესების პროგრამა, მაგრამ გუნდის ახალმა ხელმძღვანელობამ (თ. ყაზარაშვილი) და მწვრთნელთა საბჭომ სრულად ვერ გამოიყენეს პოტენციური შესაძლებლობები, ყოველმხრივი დახმარება. მწვრთნელთა საბჭომ გადაწყვეტილებები ლიბერალურად იყო, მწვრთნელები მწვავე საკითხების გადაჭრაში უპრინციპობას ამჟღავნებენ, იყო ფაქტები, როცა მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებას არ ასრულებდნენ სპორტსმენები. მეტიც, ზოგიერთი გამომწვევადაც იქცეოდა. იყო აგრეთვე შეკრებაზე დაგვიანებით გამოცხადებისა და შეკრების თვითნებურად მიტოვების შემთხვევები. სპორტსმენმა გ. შონიამ უშუალოდ სასპარტაკიადო შეჯიბრებაზე ჩაიდინა უღირსი საქციელი. კოლეგიამ აღნიშნა მწვრთნელთა საბჭოს პრინციპული პოზიცია, როცა საბუთების ფალსიფიკაციაში ამხილეს ნაკრების ერთი ერთი ლიდერი (ასაკის გადაკეთებაში გ. გედენაური, დ. ბაკურაძეს კი ტრავმამ ხელი შეუშალა გასულიყო დაგეგმილ სასრბოლო ადგილზე.

სამბოში ნაკრების შეუფერებელი გამოსვლის მიზეზი ისიც არის, რომ 15-20 წელიწადს სპორტის ეს სახეობა ჩამორჩებოდა ჩვენს რესპუბლიკაში. არავინ ზრუნავდა რეზერვის აღზრდა-დოსტატებაზე, სპარტაკიადისთვის მზადება, როგორც კოლეგიის სხდომაზე ითქვა, სამბოსტებმა ორი წლის დაგვიანებით დაიწყეს. მხოლოდ 1985 წლის შემოდგომაზე შეიქმნა ნაკრები გუნდი და შეირჩა უფროსი მწვრთნელი.

მწვრთნელთა საბჭომ და უფროსმა მწვრთნელმა (ა. ზურაბაული) ვერ შეძლეს სამოლოოდ სრულფასოვანი ნაკრების დაკომპლექტება, ცალკეული სპორტსმენების მოზადების დონე დაბალი იყო. უშუალოდ შეჯიბრების პროცესში გამოვლინდა სპორტსმენთა ტაქტიკური, ტექნიკური და ხანებისყოფო მოუმზადებლობა. უფროსი მწვრთნელების, სპეციალისტების, სპორტსახკომის პასუხისმგებელი მუშაკების ინფორმაციების შემდეგ კოლეგია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნაკრების მწვრთნელებმა და სპორტსახკომის შესაბამისმა სამმართველომ თავი ვერ გაართვეს მათ წინაშე დასახულ ამოცანებს, არარეალური იყო მათი პროგნოზები, საფუძვლიანად ვერ შეაფასეს მეტოქეთა რეალური შესაძლებლობები, ვერ გაითვალისწინეს აგრეთვე სპარტაკიადებულებით გათვალისწინებული ასაკობრივი შეზღუდვის ნიუანსები. სერიოზული საყურადღებო გამოთქმა ნაკრებ გუნდებში და თითოეული სპორტსმენის იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში დაშვებული ნაკლოვანებების გამო.

აღნიშნულ საკითხებზე კოლეგიამ მიიღო ვრცელი დადგენილება და მკაცრი სახელო გამოუტანა მწვრთნელებს და ხელმძღვანელ მუშაკებს, რის შესახებაც „ლელო“ უკვე წერდა.

მოკლედ

აბაშა

ამ დღეებში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ აბაშის რაიასაბჭოს თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც 18 გუნდი მონაწილეობდა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სამეჭაოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობისა და ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდები.

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს სამეჭაოელმა ფეხბურთელებმა.

იორამ ნიკოლეიშვილი. (ჩვენი კორ.).

ჩხოროწყუ

ორი თვე მიმდინარეობდა ჩხოროწყუს სარაიონო თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 17 გუნდმა.

ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ზუმისა და მუხურის კოლმეურნეობათა გუნდებმა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს ზუმელებმა.

სოსო ჯალაღონია.

ტყიბული

ამ დღეებში მოეწყო ქალაქისა და მისი მიმდებარე სოფლების პირველობა ფეხბურთში. შეჯიბრებაში 22 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის გაიმარჯვეს სოფელ კურსების ფეხბურთელებმა.

„ლელოს“ კორ.

მკითხველი — გაზეთი

● ჩვენ გვიყვარს კლასიკური ჭიდაობა და გვინდა ყველაფერი ვიცოდეთ მასზე: ვინ იყო საქართველოში პირველი სპორტის ოსტატი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი?

ძმები ვილი და ვისმარ შენგელიები, ალეკო მაისურაძე და კახი მიქელაძე.

— სპორტის ოსტატის წოდება კლასიკურ ჭიდაობაში საქართველოს სპორტსმენთა შორის პირველებს ლეონიდ ძეკონსკისა („მედიკი“) და შალვა ჩიხლაძეს („დინამო“) მიენიჭათ. ეს მოხდა 1936 წელს. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი: რომან რურუა („კოლმეურნე“) — 1965 წ., სპორტის დამსახურებული ოსტატი: ლეონიდ ძეკონსკი („ბურევესტნიკი“) — 1944 წ; სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი: გიორგი ვარძელაშვილი („ბურევესტნიკი“), პეტრე იორდანიშვილი („განთიადი“), ლევ კაპტანოვი („შრომითი რეზერვები“) — 1956 წ; რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი: ირაკლი ყანჩელი — 1935 წ; საკავშირო კატეგორიის მსაჯი: ირაკლი ყანჩელი — 1936 წ; საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი: ვახტანგ კუხიანიძე („დინამო“), ვასილ ილურიძე („ბურევესტნიკი“) და ილია ჩხარტიშვილი („კოლმეურნე“) — 1960 წ.

54-ე საკალათბურთო მარათონის სტარტზე

ამრონაწერი დებულებიდან

კალათბურთელ ვაჟთა 54-ე საკავშირო ჩემპიონატში, ისევე როგორც შარშან, უმაღლესი ლიგის თორმეტი კოლექტივი გამოვა: **„ველგირისი“ (კაუნასი), ცსკა, „სპარტაკი“ (ლენინგრადი), „სტროიტელი“ (კიევი), „დინამო“ (მოსკოვი), „სტატიბა“ (ვილნიუსი), „დინამო“ (თბილისი), ვეფ (რიგა), რტი (მინსკი), ასკ (კიევი), „შახტიორი“ (დონეცკი), ასკ (ალმა-ათა). 1985 წლის ჩემპიონატში უმაღლესი ლიგა, როგორც ცნობილია, ორმა კლუბმა — კუიბიშევის „სტროიტელმა“ და ტაშკენტის „უნივერსიტეტმა“ — დატოვა. მათი ადგილი უძლიერესთა შორის დონეცკის „შახტიორმა“ (ამ გუნდმა წლევანდელი საკავშირო თასი მოიგო) და ალმა-ათის არმიელებმა დაიკავეს.**

ჩემპიონატის კალენდარი წლეულს ახლებურადაა დაგეგმილი. ორივე წრის მატჩების უმრავლესობას გუნდები მიყოლებით ატარებენ. ასე მაგალითად, პირველი წრის პირველ ტურს ოთხი გუნდი (მოსკოვისა და თბილისის „დინამო“, ვეფ-ი და „სტატიბა“) თბილისში გამართავენ. მაგრამ მოსკოველი და თბილისელი კალათბურთელები ამ ტურში ერთმანეთს არ შეხვდებიან. სამაგიეროდ თბილისის „დინამო“ „სტატიბასა“ და ვეფ-ს ორჯერ შეხვდება, ე. ი. ორივე წრის მატჩებს თბილისში ჩაატარებს.

პირველი წრის პირველი ტურის მატჩები ლენინგრადსა და მინსკშიც მაეწყობა. ლენინგრადში ადგილობრივი „სპარტაკის“ გარდა „ველგირისი“, „შახტიორი“ და კიევის არმიელები ითამაშებენ, მინსკში კი რტი-სთან ერთად ცსკა-ს, „სტროიტელისა“ და ალმა-ათის არმიელთა კოლექტივები გამოვლენ.

სულ ექვსი ასეთი ტური ჩატარდება. ბოლო, მეექვსე ტურის მატჩები 22-25 დეკემბერს გაიმართება. ყოველი კლუბი თავის მოედანზე ორჯერ უმასპინძლებს ტურს. თბილისში, მაგალითად, ჩემპიონატის მატჩები სექტემბერში (პირველი წრის პირველი ტური) და დეკემბერში (მეორე წრის მეექვსე ტური) მოეწყობა.

თბილისელთა სავიზიტო ბარათი

გელა დარსაძე (დაიბადა 1962 წელს, სიმაღლე — 186 სმ), გენადი კაპუსტინი (1958, 186), გია სანაძე (1964, 195), ზურაბ გრძელიძე (1960, 191), ნიკოლოზ დერიუგინი (1959, 207), იგორ ბოროდაჩოვი (1959, 207), ანდრეი ტიუბინი (1960, 202), ზვიად ინაური (1968, 206), ალექსანდრე ფერიაშვილი (1967, 202), დავით ტალაბაძე (1968, 196), დავით გიორგობიანი (1966, 198), მიხეილ გაბრიჩიძე (1966, 200), მიხეილ კობეშავიძე (1968, 190), ოპოშნიანი (1962, 202).

მზადება დამთავრდა, სეზონი დაიწყო

(დასასრული)

● ტანმაღალი კალათბურთელების ნაკლებობას გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა. თანამედროვე კალათბურთში შეუძლებელია სერიოზული წარმატების მოპოვება, თუ შემადგენლობაში რამდენიმე ტანმაღალი სპორტსმენი არა გყავს. ჩვენ კი ახლა, ფაქტობრივად, მხოლოდ დერიუგინისა და ბოროდაჩოვის იმედად ვართ. საკმარისია რომელიმე მათგანი დაშავდეს ან სუსტად ითამაშოს, რომ სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით. ასე რომ, ამ ეტაპზე ოპოშნიანი ერთგვარ დახმარებას გაგვიწევს ზოგიერთი საკითხის გადაჭრაში.

● თუ შეიძლება, ისევ მოსამზადებელ პერიოდს დავუბრუნდეთ. დინამოელთა საკავშირო პირველობამდე თქვენ ჩეხოსლოვაკიაში იმოგზაურეთ...

— ამ ქვეყანაში ტარდებოდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ექვსი გუნდი მონაწილეობდა. საბჭოთა კავშირიდან ჩვენს გარდა საასპარეზოდ მიიწვიეს მინსკის რტი. ასევე ორი კლუბით — ერთნულ პირველობაში მეორე და მეოთხე ადგილებზე გასული გუნდებით — იყო წარმოდგენილი ჩეხოსლოვაკია. ჩვენი მეტოქეები იყვნენ, ავრეთვე, ავსტრიისა და პოლონეთის კალათბურთელები. სხვათა შორის, პოლონეთის ღირსებას იცავდა ჩვენი ძველი ნაცნობი, კრაკოვის „ვისლა“. ამ შეჯიბრებაშიც დერიუგინის გარეშე მოგვიხდა თამაში, სამი მატჩი მოვიგეთ, ორი წავაგეთ და მეოთხე ადგილი დავიკავეთ.

● საკავშირო ჩემპიონატის სტარტზე თქვენ ვილნიუსის „სტატიბასთან“ და რიგის ვეფ-თან შეხვედრა. რას იტყვით მომავალ მეტოქეებზე?

— ორივე გუნდის მოთამაშეები გამოირჩევიან საშუალო და შორი მანძილებიდან ზუსტი ტყორცნით. „სტატიბაში“ ლიდერის ფუნქციებს მარჩულიონისი ასრულებს, ვეფ-ში — ვალტერსი. ურიგოდ არც ჩვენი მცველები დარსაძე, კაპუსტინი და სანაძე ტყორცნიან. ასე რომ, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ფარქვეშ ბრძოლაზე. აქ კი კვლავ დერიუგინმა უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა.

საუბარი ჩაიწერა
დავით კაკაბაძემ.

„დინამო“ ყველა ჩემპიონატში

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა კოლექტივი საკავშირო ჩემპიონატებში 1937 წლიდან მონაწილეობს. ამ, ჩვენი გუნდისთვის პირველ ტურნირში, დინამოელებმა სამი შეხვედრა ჩაატარეს, ორი მოიგეს და ერთი — დათმეს. ამ ერთი დამარცხების გამო თბილისელი კალათბურთელები გათამაშებას პირველსავე ეტაპზე გამოეთიშნენ.

მომდევნო ჩემპიონატებში ჩვენს გუნდს ასეთი მაჩვენებლები ჰქონდა (ცხრილში აღნიშნულია ჩემპიონატის ჩატარების წელი, თამაშების, მოგებათა, ფრეთა და წაგებათა რაოდენობა და ადგილი, რომელიც დინამოელებმა მოცემულ ჩემპიონატში დაიკავეს).

წ.	თ.	მ.	ფ.	წ.	ადგ.
1938	8	3	1	4	IV
1939	9	4	2	3	VI
1940	9	5	1	3	V
1944	6	4	1	1	VI
1946	9	4	1	4	V
1947	9	7	—	2	II
1948	9	8	—	1	III
1949	9	6	—	3	V
1950	11	10	—	1	I
1951	11	9	—	2	IV
1952	10	8	—	2	III
1953	13	13	—	—	I
1954	9	9	—	—	I
1955	9	6	—	3	IV
1957	22	15	—	7	V
1958	22	11	—	11	V
1960	11	8	—	3	II
1961	21	15	—	6	II
1962	28	17	—	11	IV
1964	28	18	—	10	V
1965	22	15	—	7	II
1966	22	8	—	14	X
1968	44	31	—	13	I
1969	44	31	—	13	II
1970	33	16	—	17	VII
1971	22	10	—	12	VII
1972	18	8	—	10	IV
1973	27	13	—	14	V
1974	27	10	—	17	VI
1975	36	21	—	15	IV
1976	22	10	—	12	VII
1977	39	24	—	15	III
1978	34	17	—	17	IV
1979	22	10	—	12	VII
1980	27	13	—	14	VI
1981	34	18	—	16	V
1982	34	15	—	19	X
1983	28	4	—	24	VIII
1984	22	10	—	12	IV
1985	21	6	—	15	VII
1986	29	11	—	18	VII



ვინ და რამდენჯერ?

	I	I	III
1. ცსკა	28	10	4
2. „ველგირისი“ (კაუნასი)	4	5	6
3. „დინამო“ (თბილისი)	4	4	4
4. „სპარტაკი“ (ლენინგ.)	1	7	4
5. „სტროიტელი“ (კიევი)	—	6	6
6. „დინამო“ (მოსკოვი)	2	1	7
7. ასკ (რიგა)	3	2	1
8. „ლოკომოტივი“ (მოსკ.)	1	1	3
9. ტკა (თბილისი)	2	1	—
10. „ბურევესტნიკი“ (ლ.)	2	—	—
11. უსკ (ტარტუ)	1	1	1
12. ფიზკ (ლენინგრადი)	—	1	1
13. „ლოკომოტივი“ (თბ)	—	1	1
14. ასკ (კიევი)	—	1	1
15. „კრ. ზარია“ (ლენ.)	—	1	—
16. „სტროიტელი“ (მოსკ.)	—	1	—
17. ვეფ (რიგა)	—	—	2
18. „კალევი“ (ტალინი)	—	—	1
19. „სტატიბა“ (ვილნ.)	—	—	1

305 რამდენჯერ იყო საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი? ამ მაჩვენებლით შეიძლება დაზუსტდეს საბჭოთა კალათბურთის ლიდერთა სია. ცხრილში მხოლოდ საკლუბო კოლექტივებია ჩამოთვლილი, მაგრამ საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორები მათ გარდა სხვადასხვა დროს იყვნენ რესპუბლიკებისა და ქალაქების ნაკრები გუნდები, კერძოდ, მოსკოვის, უკრაინის, ლატვიის, ურალის, საქართველოს, ესტონეთის, ოდესის, თბილისისა და ლიტვის წარმომადგენლები.

რესპუბლიკებსა და ქალაქებს შორის

ოცამდელი პერიოდის საკავშირო ჩემპიონატებში საკლუბო გუნდების გარდა რესპუბლიკების ან ქალაქების ნაკრები კოლექტივებიც გამოდიოდნენ. ამ ცხრილში ყველა გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგები ერთადაა თავმოყრილი და ამის საფუძველზე სპრიზო ადგილების საერთო რაოდენობაა განსაზღვრული.

	I	II	III	სულ
მოსკოვი	31	16	15	62
საქართველო	6	7	6	19
ლენინგრადი	5	10	5	20
უკრაინა	1	9	9	19
ლიტვა	4	5	8	17
ლატვია	4	2	5	11
ესტონეთი	1	2	2	5
რსფსრ	—	1	—	1

ჩვენი რესპუბლიკის ადგილი ამ ცხრილში „დინამოს“, ცსკა-ს, „ლოკომოტივის“, აგრეთვე, საქართველოსა და თბილისის ნაკრები გუნდების შედეგების მიხედვითაა განსაზღვრული. ამავე პრინციპითაა გამოყვანილი სხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების საერთო მაჩვენებელი.

პირველი ნრის პირველი ტურის კალენდარი

თბილისის ტური. 18 სექტემბერი. „დინამო“ (მოსკოვი) — ვეფ (რიგა) შეხვედრის დასაწყისი 18 ს. 30 წთ. „დინამო“ (თბილისი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 20.00; **19 სექტემბერი.** „დინამო“ (მოსკოვი) — „სტატიბა“ 18.30, „დინამო“ (თბილისი) — ვეფ 20.00; **20 სექტემბერი.** „დინამო“ (მოსკოვი) — ვეფ 18.30, „დინამო“ (თბილისი) — „სტატიბა“ 20.00; **21 სექტემბერი.** „დინამო“ (მოსკოვი) — „სტატიბა“ 17.00, „დინამო“ (თბილისი) — ვეფ 18.30.

ლენინგრადის ტური. 18 სექტემბერი. „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „შახტიორი“ (დონეცკი), ასკ (კიევი) — „ველგირისი“ (კაუნასი); **19 სექტემბერი.** „სპარტაკი“ — „ველგირისი“, ასკ — „შახტიორი“. **20 სექტემბერი.** „სპარტაკი“ — „შახტიორი“, ასკ — „ველგირისი“; **21 სექტემბერი.** „სპარტაკი“ — „ველგირისი“, ასკ — „შახტიორი“.

მინსკის ტური. 18 სექტემბერი. „სტროიტელი“ (კიევი) — ასკ (ალმა-ათა), რტი (მინსკი) — ცსკა; **19 სექტემბერი.** „სტროიტელი“ — ცსკა, რტი — ასკ; **20 სექტემბერი.** „სტროიტელი“ — ასკ, რტი — ცსკა; **21 სექტემბერი.** „სტროიტელი“ — ცსკა, რტი — ასკ.

ჩვენი მეტოქეები

ვეფ (რიგა)

ორი ათეული წლის წინ ლატვიაში კალათბურთელთა ორი ძლიერი გუნდი იყო—რიგის ასკ და ვეფ-ი. განსაკუთრებით დიდი წარმატებები აქვს მოპოვებული რიგის არმიელთა კოლექტივს, რომელიც რამდენჯერმე იყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი და სსრ კავშირის ჩემპიონი.

60-იანი წლებიდან არმიელთა კლუბს რიგის ვეფ-ის სახით სერიოზული კონკურენტი გაუჩნდა. ეს პროფკავშირული გუნდი აღნიშნულ პერიოდში ორჯერ (1960 და 1966 წწ.) სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. იმ ხანებში გუნდს საკმაოდ ტექნიკური კალათბურთელები ჰყავდა: რ. კარნიტისის, ო. იურგენსონის, ბ. დრაკეს, ვ. ეგლიტისის, ც. ოზერსისა და სხვათა სახით.

1969 წლის სეზონი ვეფ-მა სუსტად ჩაატარა და დატოვა უმაღლესი ლიგა, რომელშიც 1972 წელს დაბრუნდა, მაგრამ მცირე ხნით. 1977 წლიდან ვეფ-ი ახალ აღმავლობას განიცდის, ამ დროისთვის გუნდის შემადგენლობა საფუძვლიანად შეიცვალა. კოლექტივში მოვიდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი კალათბურთელები ი. ყვიგურსი, ი. ბალოდისი, ი. კალნინში, მოგვიანებით ა. ეკობსონი, თ. მიგლინიეკსი და სხვა.

ბოლო წლებში რიგის კალათბურთელთა საუკეთესო შედეგია 1985 წლის ჩემპიონატში დაკავებული V ადგილი.

რიგის ვეფ-ისა და თბილისის დინამოელებს საკავშირო ჩემპიონატების დონეზე 47 მატჩი აქვთ ჩატარებული. ამ შეხვედრების ბალანსი აშკარად თბილისელთა სასარგებლოდაა: 34 გამარჯვება და 13 დამარცხება.

„სტატიბა“ (ვილნიუსი)

კალათბურთი ლიტვაში ჭეშმარიტად ყველაზე პოპულარული სპორტია. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ რესპუბლიკა უმაღლეს ლიგაში ორი მაღალი კლასის გუნდით (კაუნასის „ველგირისი“ და „სტატიბა“) არის წარმოდგენილი.

ვილნიუსის კლუბი შედარებით ახალგაზრდა გუნდია. მისი დებიუტი უმაღლეს ლიგაში 1972 წელს შედგა. „სტატიბამ“ საკავშირო ჩემპიონატებში ყველაზე კარგ შედეგს 1979 წლის სეზონში მიაღწია — ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს: რ. გირსკისმა, ა. პავლონისმა, კ. ბალოჩკამ, ი. კაზლაუსკასმა, მ. კორნიშოვასმა და სხვებმა.

„სტატიბა“ და თბილისის „დინამო“ საკავშირო ჩემპიონატებში ერთმანეთს 25-ჯერ შეხვდნენ. 13 მატჩი თბილისელებმა მოიგეს, 12 — ლიტველმა კალათბურთელებმა.

ევროპის საკლუბო ცურნირებში

გუშინ გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების 1986-87 წლების გათამაშების პირველი წრის მატჩები.

ჩემპიონთა თასზე ბულგარეთში ერთმანეთს შეხვდნენ ქ. სტარა-ზაგორას „ბეროე“ და კიევის „დინამო“. მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

უეფა-ს თასზე მინსკში ითამაშეს ადგილობრივმა „დინამომ“ და უნგრეთის „რაბა ეტომ“ 4:2 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

გუშინდელი სხვა მატჩები დამთავრდა გვიან.

I ლიგა

17 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 35-ე ტურის მატჩები.

ლიგაში ახლა განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა იმ ორი საგუშაგოსთვის, რომლებიც პირველ-მეორე ადგილებზე გასულ გუნდებს გაისად უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას აძლევს. განვლილი ტურისთვის ლიგაში ყველაზე კარგი მდგომარეობა ჰქონდა რიგის „დაუგავას“, რომელიც დიდი განსხვავებით, ერთპიროვნულად ლიდერობს ლიგაში, მაგრამ „დაუგავამ“ 16 სექტემბერს დიდი ანგარიშით განიცადა მარცხი კემეროვოში, ადგილობრივი „კუზბასისგან“—0:4, „კუზბასი“ კი გათამაშების ცხრილში მე-20 ადგილზე იმყოფებოდა, მას ლიგის დატოვების საფრთხე ემუქრება.

სამწუხაროდ, ვოლგოგრადში, „როტორთან“ შეხვედრაში, მარცხი განიცადა მეორე ადგილზე მყოფმა ლანჩხუთის „გურიამაც“ — 2:4, მაგრამ ამ ტურში წარუმატებლად ითამაშეს ლანჩხუთელთა სხვა უმთავრესმა მეტოქეებმაც. „გურიას“ 3 ქულით ჩამორჩებოდა ლვოვის ასკ „კარპატი“, ლვოველები კი დონის როსტოვში „როსტსელმაშთან“ დამარცხდნენ ანგარიშით — 0:4.

მომდევნო ადგილებზე 39-39 ქულით იმყოფებოდნენ დუშანბეს „პამირი“ და იაროსლავლის „შინიკი“. და, აი, „პამირმა“ ზაპოროჟიეში წაგო „მეტალურგთან“ — 2:3, ხოლო „შინიკმა“ თავის მინდორზე ფრედ ითამაშა კრასნოდარის „ყუბანთან“ — 1:1.

არის კიდევ ერთი პოტენციური მეტოქე — ცსკა, არმიელებმა კი ამ დღეს თავიანთ მინდორზე მხოლოდ ქულა აიღეს ორჯონიკიძის „სპარტაკთან“ შეხვედრაში — 1:1.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: ასკ (ბაბაროსკი) — „ატლანტასი“ (კლაიპედა) 2:0, „ისკრა“ (სმოლენსკი) — ასკ (დონის როსტოვი) 0:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 5:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:0.

ბათუმის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ვორონეჟის „ფაკელი“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. ამ მატჩის თაობაზე ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტი **ოთარ მურვანიძე** გვატყობინებს შემდეგს:

„ფაკელთან“, რომლის შემადგენლობაში უმაღლესი ლიგის გამოცდილების მქონე რამდენიმე ფეხბურთელი გამოდის, დინამოელებმა აქტიურად დაიწყეს თამაში, უკვე დასაწყისშივე ბურთის გატანის ნაღდი შესაძლებლობა მიეცა მაისურაძეს, მაგრამ მან ძელს მოახვედრა ბურთი, მე-9 წუთზე კი შმაროვ-კოლესნიკოვ-მატიუნინის საპასუხო იერიში ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დამთავრდა — 1:0. მასპინძლებმა მხოლოდ 38-ე წუთზე შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა ათუაშვილი-ჩიქოვანის კომბინაციის შემდეგ, მანამდე კი ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა, ამასთან ხაუკეთესოდ ითამაშა „ფაკელის“ მეკარემ შეროვშჩიკოვმა.

ბათუმელები შესვენების შემდეგაც აქტიურად იბრძოდნენ გამარჯვების მოსაპოვებლად, მათ მრავალი ხახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან, რომელთაგან მხოლოდ ერთი დამთავრდა გოლით: 68-ე წუთზე გორგილაძემ ისარგებლა სტუმრების კართან შექმნილი არეულობით და გადამწყვეტი გოლიც გაიტანა — 2:1.

გუნდების შემადგენლობანი: „დინამო“ — მამინაშვილი, გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, მენაბდე (კიკლიაშვილი), ათუაშვილი, კაკაბაძე, გორგილაძე, მაისურაძე; „შაკელი“ — მეროვშჩიკოვი, მაზანკო (რემეზოვი), ხავჩენკო, შიშკინი, მხითარიანი, ხოშენკო, კოლესნიკოვი, მურაშკინცევი, მინაევი, შმაროვი, მატიუნინი (ვახილიევი).

მსაჯი ვ. ზვიაგინცევი (დონეცკი).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დაუგავა“	33	20	8	5	67-36	48
„გურია“	34	19	5	10	51-45	43
ასკ „კარ.“	34	15	10	9	50-38	40
„შინიკი“	34	14	12	8	33-24	40
„პამირი“	33	15	9	9	53-32	39
„როტორი“	33	17	4	12	52-41	38
ცსკა	32	16	6	10	44-32	38
„ლოკომ.“	33	14	10	9	44-33	38
„დინამო“ ბ.	34	15	6	13	37-45	36
„ფახთაქ.“	33	13	8	12	40-45	34
„როსტსელ.“	33	12	10	11	56-49	34
„კოლოსი“	32	12	10	10	32-33	34
„ფაკელი“	33	13	7	13	36-34	33
„მეტალურ.“	33	13	6	14	44-39	32
ასკ რ.	33	12	8	13	41-34	32
„სპარტაკი“	34	10	12	12	44-44	32
„დინ.“ სტ.	33	9	12	12	46-40	30
„ყუბანი“	33	9	12	12	29-35	30
„კუზბასი“	32	9	11	13	38-47	29
„კოტაიკი“	34	8	12	14	30-40	28
ასკ ხ.	33	8	10	15	37-48	26
„ისკრა“	34	8	10	16	23-44	26
„ატლანტ.“	32	5	10	18	26-51	20
„ნისტრუ“	34	5	8	21	24-68	18

5 მატჩი—5 მოგებაა!

უკრაინის ქალაქ კიროვოგრადში მიმდინარეობს სტუდენტთა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო პირველობა ფეხბურთში, ამ საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობს მოკავშირე რესპუბლიკათა, მოსკოვისა და ლენინგრადის 12 გუნდი.

ჩვენი რესპუბლიკის „ბურევესტნიკის“ ღირსებას იცავს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ა. ჭკუასელი და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი რ. ძოძუაშვილი. ჩვენმა ფეხბურთელებმა 4 მატჩი ჩაატარეს და ოთხივე თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს: მოსკოვის ნაკრებთან — 3:1, აზერბაიჯანელებთან — 1:0, რსფსრ-ის გუნდთან — 2:1 და სომხეთის ნაკრებთან — 1:0.

დარჩენილ ორ მატჩში გამარჯვება გამარჯვებულის, აგრეთვე პრიზიორთა ვინაობა.

გუშინ ჩვენი ფეხბურთელები უკრაინის სტუდენტებს შეხვდნენ და კვლავ გაიმარჯვეს — 3:2.

დღეს გაიმართება ფინალური მატჩი — საქართველოს ნაკრები ეთამაშება უკრაინის გუნდს.

ერთიანი საქართველო

19 წლის პროფესიონალ მოკრივეს მაიკლ ტაისონს განზრახული აქვს დაამხოს ნოკაუტების სერიის მსოფლიო რეკორდი, რომელიც როკი მარჩიანოს ეკუთვნის. ტაისონი ალბათ სულ მალე გახდება მსოფლიოში უველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი (უველა წონითი კატეგორიის ჩათვლით).

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

ახალი ლიდერი?

ეს ამერიკელი მოკრივე ცნობილია „მოკლე ბრძოლებით“. პროფესიულ რინგზე დღემდე ჩატარებული ოცდახუთივე შეხვედრა მან ნოკაუტით მოიგო, მათ შორის 12 — პირველივე რაუნდში. ტაისონის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე ედი რიჩარდსონი ასე იგონებს მის ძლიერ დარტყმას: „ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ავტომობილი დამეჯახა“. ტაისონის უველაზე ხანმოკლე ბრძოლა 37 წამს გაგრძელდა, უველაზე ხანგრძლივი კი — 16 წუთსა და 19 წამს. ჯერ არც ერთ პროფესიონალ მძიმეწონოსან მოკრივეს არ დაუწყია თავისი კარიერა ასე იღბლიანად. აქამდე რეკორდსმენი იყო როკი მარჩიანო, რომელმაც შეძლო 16 ბრძოლა მოეგო ნოკაუტით. ექსპერტები ამ ახალგაზრდა ზანგ მოკრივეს ბრძოლის მანერითა და ფიზიკური მონაცემებით ლეგენდარულ მარჩიანოს, ფორმენსა და ფრეზიერს ადარებენ. ტაისონს ჯერ კიდევ ორ წელზე მეტი ვადა აქვს ფლოიდ პატერსონის რეკორდის დასამხობად (პატერსონი 21 წლის, 10 თვისა და 26 დღის იყო, როცა მსოფლიო ჩემპიონი გახდა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის). „ტაისონი ბევრად უფრო სწრაფია, ვიდრე ფორმენი და მარჩიანო, და ბევრად უფრო მძლავრი, ვიდრე ფრეზიერი“, ამბობს ჯოზე ტორესი, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი მსუბუქი წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის.

მაიკ ტაისონი ნიუ-იორკის რაიონის ბრუკლინის ზანგთა გეტოებში გაიზარდა. უვლიდა მტრედებს, ძალიან უწყინარი და მორიდებული ბავშვი იყო. ასეთებისთვის ძნელი ასატანია გეტოს ყოველდღიურობა.

„იქ მე მპარავდნენ ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, ფულს, მცემდნენ... ერთხელ, როდესაც ერთ-ერთი ქურდბაცაცა მტრედის მოპარვას აპირებდა, მე მას ხელი შევუბრუნე და ამით საბოლოოდ გავთავისუფლდი, ვეღარავინ მიბედავდა დაბრიყვებას და გაცურებას, — ჰყვება ტაისონი. მაშინ იგი თერთმეტი წლის ბიჭი იყო და მოულოდნელად ახალგაზრდული ბანდის წევრობაც შესთავაზეს. იგი თავს ესხმოდა მგზავრებს, ძარცვავდა სასურსათო მაღაზიებს. ცამეტი წლისა ძნელად აღსაზრდელთა სკოლაში მოხვდა და აქ გადაწყდა საბოლოოდ მისი ბედი. აქ დაიწყო გეტოელი ღარიბი ზანგის გარდაქმნა უმაღლესი კლასის სპორტსმენად. ამ სკოლაში მისი ერთ-ერთი აღმზრდელთაგანი იყო ყოფილი პროფესიონალი მოკრივე ბობი სტიუარტი. მან დააწყებინა ტაისონს კრივში ვარჯიში და მოგვიანებით გამოცდილ მწვრთნელს დ' ამატოს წარუდგინა იგი. დ' ამატომ, რომლის ხელმძღვანელობითაც ფლოიდ პატერსონი და ჯოზე ტორესი მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ, ჯერ კიდევ ცამეტი წლის ტაისონსაც ეს ტიტული უწინასწარმეტყველა. იგი გახდა ტაისონის მეთვალყურეც, მწვრთნელიც, მენეჯერიც და მამობილიც. დ' ამატოს კრივის სკოლაში გატარებულმა ექვსმა წელიწადმა დისციპლინას მოიჩვია მომავალი ვარსკვლავი. „რაც უნდა კარგი მონაცემები გქონდეს, დისციპლინის გარეშე ვერაფერს მიაღწევ“, — არიგებდა მას მწვრთნელი.

პირველი გამოცდილება ტაისონმა გეტოების პატარა დარბაზებში მიიღო, სადაც მაყურებლები ერთმანეთს ენაძლევებოდნენ ბრძოლის შედეგებზე. დიდ რინგზე მისი პირველი გამოცდა მარცხით დამთავრდა. 1984 წლის ივნისში მას მცირე უპირატესობით მოუგო მომავალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჰენრი ტილმანმა. ეს იყო ტაისონის ბოლო მარცხი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით იგი საქვეყნოდ განთქმულ მძიმეწონოსან პროფესიონალ მოკრივეებს არ შეხვედრია.

ვლადიმერ ხეიჭრიშვილი.

რედაქტორის მოადგილე თ. გაჩეჩილაძე.



18-21 სექტემბერს თბილისის სპორტის სახახლეში ტარდება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 54-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ტურის მატჩები. მონაწილეობენ: „დინამო“ (მოსკოვი), „სტატიბა“ (ვილნიუსი), ვეფ (რიგა) და „დინამო“ (თბილისი).

დასაწყისი 18, 19 და 20 სექტემბერს 18 საათსა და 30 წუთზე, 21 სექტემბერს — 17 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

საქართველოს პროფსაბჭოს სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს სპორტულ კომპლექს „ბურევესტნიკთან“ არსებული ათლეტური ტანვარჯიშის მოყვარულთა კლუბი აცხადებს:

ახალგაზრდა, საშუალო და უფროსი ასაკის მამაკაცების მიღებას სპორტულ- და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფებში სამედიცინო შემოწმებისა და ექიმის ნებართვის საფუძველზე.

მეცადინეობები ჩატარდება კვირაში სამჯერ დღეგამოშვებით (თითოეული ჯგუფისთვის) 19-დან 22 საათამდე მწვრთნელისა და ექიმის მეთვალყურეობით. ვარჯიშის მსურველები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან თბილისის ჯანდაცვის სამმართველოს № 1 ფიზკულტურულ დისპანსერში.

მოვარჯიშეებს დაეთმობათ სპეციალური ინვენტარით აღჭურვილი დარბაზი, ფრენბურთისა და ფეხბურთის დარბაზი და საცურაო აუზი, ფინური აბანო.

კლუბი სამეურნეო ანგარიშზეა. კლუბის თითოეული წევრი თვეში იხდის 9 მანეთს.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიაკითხეთ სპორტკომპლექს „ბურევესტნიკის“ დირექციას, კანცელარიასა და რეგისტრატურას დღის 9-დან 18 საათამდე.

მისამართი: უნივერსიტეტის ქ. № 6. ტელ: 39-24-36.

საქართველოს პროფსაბჭოს სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს სპორტკომპლექს „ბურევესტნიკის“ დირექცია.

გიწვევთ სამოგზაუროდ

მიიწურა ზაფხული — შვებულებების დრო. კვლავ ხალხით გაიესო დედაქალაქის ქუჩები, თბილისელები თავიანთ სახლებს და სამუშაო ადგილებს დაუბრუნდნენ, მაგრამ ამინდი ისევ ზაფხულისაა, ისევ ცხელა. კარგია ამ დროს ორიოდე დღით ქალაქგარეთ გასეირნება. სად და როგორ? ამაში ქ. თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო დაგეხმარებათ.

თუ ძველი მესხეთის მონახულება და მისი ისტორიის გაცნობა გსურთ, გაემგზავრეთ ვარძიაში.

თუ საქართველოს სამხედრო გზის სილამაზით გსურთ დატკბეთ და მარადყინულოვან ზვიად მყინვარწვერს გინდათ შეავლოთ თვალი, ფასანაური და ყაზბეგი მოინახულეთ.

შესანიშნავად გაატარებთ დროს, თუ ბაზალეთის ტბას ეწვევით.

საქვეყნოდ ცნობილი კურორტები ბორჯომი და ბაკურიანი მოუთმენლად ელიან სტუმრებს. აქ კარგადაც დაისვენებთ და ჯანმრთელობასაც გაიკაჟებთ. იქნებ სტუმართმოყვარეობით განთქმულ იმერეთში გსურთ მოგზაურობა? კეთილი და პატიოსანი. სავარდო და სამაისო ქუთაისი ხომ სწორედ სტუმართმოყვარეობითაა განთქმული, მოინახულეთ გეგუთი და გელათი, ბაგრატის ტაძრის ნანგრევები. სტუმრის სიყვარულში იმერეთს არც სამეგრელო ჩამოუვარდება. ჩაბრძანდით ზუგდიდში და თავად დარწმუნდებით, რომ ეს ასეა.

სადაცაა რთველი დაიწყება. ბევრ თბილისელს შეიძლება არც კი უნახავს ეს დღესასწაული. გაემგზავრეთ თელავში, გნებავთ ლაგოდეხში, და ნახეთ როგორ უხვად უბრუნებს მადლიანი ჭართული მიწა გლეხკაცს მისი შრომის ნაყოფს.

სვანეთის ზღაპრულ სამყაროში მოხვედრაზე ალბათ ბევრს უოცნებია. აქციეთ ოცნება სინამდვილედ, მოინახულეთ მესტია, ლენტეხი.

სილამაზით განთქმულია რაჭის ბუნება, სითბოთი და სიკეთით — რაჭველები. გაემგზავრეთ ონში, გნებავთ შოვში და დატკბით ამ კუთხის მშვენიერებით.

მოგზაურობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელდება ავტობუსებით. მესტიაში წასვლის მსურველები ზუგდიდამდე მატარებლით იმგზავრებენ, იქიდან კი ავტობუსით. ექსკურსანტები ღამეს სასტუმროში გაათევენ, იქვე ისაუზმებენ ან ივახშმებენ. მათ მოემსახურებიან ექსკურსიამძღოლები.

ბიურო ღებულობს კოლექტიურ შეკვეთებს. ცნობებისათვის მიმართეთ საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროს მისამართით: მეტეხის ალმ. № 14 ტელ 74-27-50.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07612